



2025 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის იანვრის თვის  
შესრულების

**მიმოხილვა**

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

**2025**  
თებერვალი

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 2,318.0 მლნ ლარი

35.0%

3 თვის გეგმის

8.4%

წლიური გეგმის

გადასახდელები - 2,279.5 მლნ ლარი

33.6%

3 თვის გეგმის

8.2%



წლიური გეგმის

ნაშთის ცვლილება  
38.6 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო  
157.7 მლნ ლარი

მთლიანი სალდო  
-144.6 მლნ ლარი


## შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



## გადასახადების სტრუქტურა





## ხარჯების სტრუქტურა



# სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,560.8 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარში მიღებული შემოსულობები 2,318.0 მლნ ლარს (წლიური გეგმის 8.4%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 459.4 მლნ ლარით (24.7%-ით) აღემატება.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელებს წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,941.7 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 2,279.5 მლნ ლარს (წლიური გეგმის 8.2%) შეადგენს, რაც 228.4 მლნ ლარით (11.1%-ით) მეტია წინა წლის 1 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა<sup>[1]</sup> განსაზღვრულია 6,619.0 მლნ ლარით, ხოლო 3 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 35.0%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 3 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს (34.4%), აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებს (29.4%), არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან შემოსულობები დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (12.5%), ხოლო ფინანსური აქტივების კლების კომპონენტი 53.2%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 6,780.8 მლნ ლარის ოდენობით, 3 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 33.6%-ს შეადგენს. რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას გადასახდელების კომპონენტების მიხედვით, ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდისა და აგრეთვე, ვალდებულებების კლების კომპონენტების მაჩვენებლები კარგი შესრულებით ხასიათდება (შესაბამისად, 32.1%, 34.8% და 31.7%), ხოლო ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები გადაჭარბებით გამოირჩევა და 184.5%-ს აღწევს.

[1] „საქართველოს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 1 თვეში, 157.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - -144.6 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021-2025 წლების 1 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.


რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2025 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,386.2 მლნ ლარი შეადგინა. იანვარში მიღებული შემოსულობების და განეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 38.6 მლნ ლარს გაუტოლდა და 2025 წლის 1 თებერვლისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 1,424.8 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.

საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2021-2025 წლების 1 თვეში (მლნ ლარი)



# სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2025 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები 2,318.0 მლნ ლარს შეადგენს. შემოსულობების ფორმირება, ძირითადად, შემოსავლებისა და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 82.9%-ს და 11.2%-ს უტოლდება. 2023-2024 წლების იანვრის მაჩვენებლებთან შედარებით, შემოსავლები, ნომინალურ გამოხატულებაში, მნიშვნელოვნად გაზრდილია, თუმცა მისი წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობებში შემცირებულია, ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები კი, გაზრდილია, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ისე წილობრივად შემოსულობებში. რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს, 2025 წლის იანვარში, აღნიშნული შემოსულობების ჯამური წილი შემოსულობებში შედარებით მცირეა და 5.9%-ს შეადგენს (2024 წელს 7.4%-ია, ხოლო 2023 წელს - 4.3%).




შემოსავლების სახით, 1 თვეში, მიღებულია 1,922.0 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 34.4% და წლიური გეგმის 8.2%, რაც წინა წლის მაჩვენებელს 75.8 მლნ ლარით (4.1%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება 3 თვის გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, გადასახადები და სხვა შემოსავლები კარგი მაჩვენებლებით გამოირჩევა, ხოლო გრანტები შესრულების დაბალი დონით ხასიათდება.

იანვარში მიღებული გადასახადები 1,821.2 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 34.3%-ს და წლიური გეგმის 8.3%-ს შეადგენს. გადასახადების სახეების მიხედვით, 3 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 19.6%-დან 41.2%-მდე მერყეობს (მ.შ. აქციზი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი - ყველაზე მაღალი შესრულების მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, 3 თვის გეგმა 130.0 მლნ ლარით არის განსაზღვრული, 1 თვეში კი 23.0 მლნ ლარია მიღებული. 2024 წლის იანვართან შედარებით, გადასახადები 178.8 მლნ ლარით (10.9%-ით) გაზრდილია, რაც საშემოსავლო, მოგებისა და სხვა გადასახადების (შესაბამისად, 105.1 მლნ ლარით, 40.0 მლნ ლარით და 118.3 მლნ ლარით) მატებას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 73.8 მლნ ლარით (12.6%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარში, დღგ-ის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 644.4 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 14.1 მლნ ლარით (2.1%-ით) ნაკლები, რაც დაკავშირებულია იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან დღგ-ის 43.6 მლნ ლარით შემცირებასთან (თუმცა საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან დღგ 29.5 მლნ ლარით გაზრდილია). წინა წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 38.3%-ით (68.2 მლნ ლარით) შემცირებულია აქციზი: ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან - 17.2 მლნ ლარით, ხოლო იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან - 51.0 მლნ ლარით (ძირითადად, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან მიღებული სააქციზო შემოსავლის 51.7 მლნ ლარით, 2.7-ჯერ შემცირების გავლენით).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2024-2025 წლების 1 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების მოცულობამ 5.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის 11.2%- და წლიური გეგმის 2.8%-ია. მ.შ. საინვესტიციო გრანტები - 0.1 მლნ ლარს და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით მიღებული შემოსავალი, ასევე, 0.1 მლნ ლარს უტოლდება. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 5.3 მლნ ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლებს სახით, 1 თვეში, ბიუჯეტში მობილიზებულია 95.2 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 42.5% და წლიური გეგმის 7.1%, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 40.8 მლნ ლარით (30.0%-ით) ნაკლებია და ძირითადად, დივიდენდების კლებას უკავშირდება (კერძოდ, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან დივიდენდის სახით, წინა წლის იანვარში, ბიუჯეტში 50.1 მლნ ლარი ჩაირიცხა, 2025 წლის ბიუჯეტში კი აღნიშნული შემოსავლის მიღება გათვალისწინებული არ არის). სხვა შემოსავლის ძირითადი ნაწილი (46.8%) შემოსულია საკუთრებიდან (44.6 მლნ ლარის ოდენობით) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (23.0%, 21.9 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლებას მუხლით შემოსულობები (8.7 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 12.5%-ს და წლიური გეგმის 2.9%-ს შეადგენს. აღნიშნული შემოსულობების უდიდესი ნაწილი, 99.5%, არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, კერძოდ, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან არის მიღებული (ძირითადი აქტივების რეალიზაციიდან შემოსულია 43.9 ათასი ლარი). არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს მნიშვნელოვნად, 8.5 მლნ ლარით, აღემატება.

ფინანსური აქტივების კლებას მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 3 თვის გეგმასთან შედარებით, 53.2%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა (წლიური გეგმის 31.8%) და 127.2 მლნ ლარს შეადგენს, თუმცა წინა წლის მაჩვენებელს 10.2 მლნ ლარით (7.4%-ით) ჩამორჩება.


ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 1 თვეში, 260.2 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 29.4%-ს (წლიური გეგმის 7.6%-ს) შეადგენს. მ.შ. თანხების ძირითადი ნაწილი შემოსულია საშინაო დაფინანსების წყაროდან, კერძოდ: სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების რეალიზაციისა და დაფარვის შედეგად მიღებული წმინდა შემოსულობა 223.2 მლნ ლარს (3 თვის გეგმის 34.9%) შეადგენს.

საგარეო წყაროდან თანხები, მთლიანად, საინვესტიციო კრედიტების სახით არის მიღებული და 36.9 მლნ ლარს შეადგენს (ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები, რომლის სახით 3 თვის გეგმით 69.0 მლნ ლარია გათვალისწინებული, იანვარში არ არის შემოსული).

	1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	260.2	29.4%	7.6%
საგარეო	36.9	15.0%	2.0%
საბიუჯეტო კრედიტები	0	0.0%	0.0%
საინვესტიციო კრედიტები	36.9	20.9%	3.0%
საშინაო	223.2	34.9%	14.0%

# სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები


2025 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 2,279.5 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 77.4%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია 2023-2024 წლებთან შედარებით, ხოლო წილობრივად გადასახდელებში მცირედით გაზრდილია 2024 წელთან შედარებით და შემცირებულია 2023 წლებთან შედარებით. კერძოდ, 2023 წლის იანვარში, ხარჯების წილი გადასახდელებში 82.1%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის იანვარში - 77.3%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2025 წლის იანვარში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 13.6% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 4.3% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 4.7%. 2024 წლის იანვარში, მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 17.3%-ის, 0.4%-ის და 5.1%-ის ოდენობებით, ხოლო, 2023 წლის იანვარში - 9.8%-ის, 0.6%-ის და 7.5%-ის ოდენობებით.



მიმდინარე წლის იანვარში, ხარჯებმა 1,764.3 მლნ ლარი შეადგინა, რაც 3 თვის გეგმის 32.1% და წლიური გეგმის 8.1%-ია. 3 თვისგეგმასთან მიმართებით, პროცენტის მუხლი შესრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა (61.2%), სოციალური უზრუნველყოფა (32.8%), სხვა ხარჯები (29.7%) და შრომის ანაზღაურება (29.4%) - კარგი შესრულების დონით, ხოლო საქონლისა და მომსახურების მუხლი (23.4%), გრანტები (22.6%) და სუბსიდიები (18.7%) შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება. ხარჯების მოცულობა, 2024 წლის 1 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 179.6 მლნ ლარით (11.3%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების თითქმის ყველა კომპონენტის (გარდა სუბსიდიებისა) მატებასთან, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით განეული ხარჯების მნიშვნელოვანი (84.2 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.


პროცენტის მუხლით განეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (329.6 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 276.0 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 53.6 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (700.3 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (514.7 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (149.1 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (25.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024-2025 წლების 1 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (311.1 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 34.8%-ს და წლიური გეგმის 7.3%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (108.7 მლნ ლარი) და საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (89.4 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (32.1 მლნ ლარი), სკოლამდელ და ზოგად განათლებაზე (16.1 მლნ ლარი), განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (13.1 მლნ ლარი) და ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (12.0 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (97.0 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 184.5%-ს და წლიური გეგმის 22.9%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით განეული გადასახდელები გადანაწილებულია თავდაცვის სამინისტროზე (87.1 მლნ ლარის ოდენობით), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე (7.5 მლნ ლარის ოდენობით), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (1.6 მლნ ლარის ოდენობით) და დონორების მიერ დაფინანსებულ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (0.7 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (107.2 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 31.7%-ს და წლიური გეგმის 7.6%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი, 107.1 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.


	1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	107.2	31.7%	7.6%
საგარეო	107.1	32.9%	7.8%
საშინაო	0.1	0.4%	0.1%

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 1 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 1 პროგრამულ კოდს, „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 60 00), რომლის ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება, 0.3 მლნ ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 436.7 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 50.0% და წლიური გეგმის 13.8%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 49.5 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 38.2 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს და 11.3 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიიმართა 25.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 38.1 მლნ ლარის და 0.2 მლნ ლარის ოდენობით.


იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 2,075.3 მლნ ლარი შეადგინა (3 თვის გეგმის 32.5% და წლიური გეგმის 8.0%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში:

2025 წლის 1 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი)



## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 1 თვის გადასახდელებიდან (2,279.5 მლნ ლარი), მხარტავ დაწესებულებებზე 1,767.4 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 512.1 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 22.5%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 1,665.4 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 73.1%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 102.0 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 4.5%).



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის იანვარში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 1 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	45.8	18.0	39.3%	14.9%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947.0	234.5	27.8	11.9%	2.9%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,125.0	405.2	143.9	35.5%	4.6%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	442.0	104.7	15.1	14.5%	3.4%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8,820.0	2,208.8	711.2	32.2%	8.1%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	215.0	61.3	21.5	35.1%	10.0%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,730.0	598.7	316.1	52.8%	18.3%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,395.0	347.4	108.1	31.1%	7.7%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.1	203.4	46.0	22.6%	5.7%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	3,085.0	746.7	237.8	31.8%	7.7%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	297.6	80.3	10.6	13.2%	3.6%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	298.4	89.7	9.2	10.3%	3.1%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 18.0 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (121.0 მლნ ლარი) 14.9%-ს და 3 თვის გეგმის (45.8 მლნ ლარი) 39.3%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2025 წლის იანვრის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი მკვეთრად აღემატება გასული, 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს. კერძოდ, 2023 წლის 1 თვის გადასახდელებმა 5.0 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის 1 თვის გადასახდელებმა 5.4 მლნ ლარი შეადგინა.


მიმდინარე წლის იანვარში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 27.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (947.0 მლნ ლარი) 2.9% და 3 თვის გეგმის (234.5 მლნ ლარი) 11.9%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (27.8 მლნ ლარი) 2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე ნაკლებია, ხოლო 2023-2024 წლების მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.


2025 წლის იანვარში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 143.9 მლნ ლარია ათვისებული, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური მოცულობის (3,125.0 მლნ ლარი) 4.6%-ს და 3 თვის გეგმის (405.2 მლნ ლარი) 35.5%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, საანგარიშო პერიოდის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი (143.9 მლნ ლარი) მნიშვნელოვნად აღემატება 2022, აგრეთვე, 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებს, თუმცა 2024 წლის მონაცემს მცირედით ჩამორჩება.


ფინანსთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



ეკონომიკის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 1 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 15.1 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (442.0 მლნ ლარი) 3.4%-ს და 3 თვის გეგმის (104.7 მლნ ლარი) 14.5%-ს უტოლდება.

იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვრის გადასახდელები (15.1 მლნ ლარი), 2022 და 2024 წლების ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, შემცირებულია, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელთან შედარებით - გაზრდილი.




2025 წლის იანვარში სახელმწიფო ბიუჯეტიდან განუღი მთლიანი გადასახდელების თითქმის მესამედი (31.2%), 711.2 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (8,820.0 მლნ ლარი) 8.1%-ს და 3 თვის გეგმის 32.2%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (711.2 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.




საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარში ათვისებული ასიგნებები 21.5 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (215.0 მლნ ლარი) 10.0%-ს და 3 თვის გეგმის (61.3 მლნ ლარი) 35.1%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (21.5 მლნ ლარი), 2022-2024 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.




საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 1 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 316.1 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,730.0 მლნ ლარი) 18.3%-ს და 3 თვის გეგმის (598.7 მლნ ლარი) 52.8%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2025 წლის იანვრის გადასახდელები (316.1 მლნ ლარი) მკვეთრად აღემატება გასული, 2022-2024, წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს.




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2025 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 108.1 მლნ ლარი ათვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,395.0 მლნ ლარი) 7.7%-ს და 3 თვის გეგმის (347.4 მლნ ლარი) 31.1%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 1 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (108.1 მლნ ლარი), 2022-2024, წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.




საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 46.0 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.1 მლნ ლარი) 5.7%-ს და 3 თვის გეგმის (203.4 მლნ ლარი) 22.6%-ს უტოლდება.

მოცემული სამინისტროს, 2025 წლის 1 თვის გადასახდელები (46.0 მლნ ლარი), 2022-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო 2024 წლის მაჩვენებელთან შედარებით - შემცირებული.



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 1 თვის მაჩვენებელი 237.8 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (3,085.0 მლნ ლარი) 7.7%-ს და 3 თვის გეგმის (746.7 მლნ ლარი) 31.8%-ს შეადგენს.


2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (237.8 მლნ ლარი), 2024 წლის მონაცემთან შედარებით, შემცირებულია, თუმცა 2022-2023 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს მკვეთრად აღემატება.



საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 10.6 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (297.6 მლნ ლარი) 3.6%-ს და 3 თვის გეგმის (80.3 მლნ ლარი) 13.2%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 9.2 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (298.4 მლნ ლარი) 3.1% და 3 თვის გეგმის (89.7 მლნ ლარი) 10.3%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (19.9 მლნ ლარი) 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება, თუმცა 2022 წლის მონაცემზე ნაკლებია.



# დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 1 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა*	2025 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
<b>შემოსულობები</b>	<b>1,858.6</b>	<b>27,560.8</b>	<b>6,619.0</b>	<b>2,318.0</b>	<b>35.0%</b>	<b>8.4%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>1,846.2</b>	<b>23,434.9</b>	<b>5,581.2</b>	<b>1,922.0</b>	<b>34.4%</b>	<b>8.2%</b>
გადასახადები	1,642.4	21,885.0	5,308.0	1,821.2	34.3%	8.3%
საშემოსავლო გადასახადი	656.5	7,369.0	1,849.0	761.6	41.2%	10.3%
მოგების გადასახადი	233.8	3,070.0	850.0	273.8	32.2%	8.9%
დღგ	658.5	8,136.0	1,884.0	644.4	34.2%	7.9%
აქციზი	177.9	2,650.0	560.0	109.7	19.6%	4.1%
იმპორტის გადასახადი	11.0	150.0	35.0	8.6	24.6%	5.8%
სხვა გადასახადები	-95.3	510.0	130.0	23.0	17.7%	4.5%
გრანტები	67.8	199.9	49.2	5.5	11.2%	2.8%
სხვა შემოსავლები	136.0	1,350.0	224.0	95.2	42.5%	7.1%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>0.3</b>	<b>300.0</b>	<b>70.0</b>	<b>8.7</b>	<b>12.5%</b>	<b>2.9%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>137.3</b>	<b>400.0</b>	<b>83.0</b>	<b>127.2</b>	<b>153.2%</b>	<b>31.8%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>-125.2</b>	<b>3,425.9</b>	<b>884.8</b>	<b>260.2</b>	<b>29.4%</b>	<b>7.6%</b>
საშინაო	-162.8	1,600.0	639.2	223.2	34.9%	14.0%
საგარეო	37.6	1,825.9	245.6	36.9	15.0%	2.0%
<b>გადასახდელები</b>	<b>2,051.1</b>	<b>27,941.7</b>	<b>6,780.8</b>	<b>2,279.5</b>	<b>33.6%</b>	<b>8.2%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>1,584.6</b>	<b>21,842.0</b>	<b>5,497.2</b>	<b>1,764.3</b>	<b>32.1%</b>	<b>8.1%</b>
შრომის ანაზღაურება	184.2	3,035.0	757.4	222.7	29.4%	7.3%
საქონელი და მომსახურება	146.8	2,485.3	649.9	152.2	23.4%	6.1%
პროცენტი	283.8	1,745.0	538.7	329.6	61.2%	18.9%
სუბსიდიები	58.4	1,021.6	298.7	55.8	18.7%	5.5%
გრანტები	86.2	1,856.5	402.0	90.9	22.6%	4.9%
სოციალური უზრუნველყოფა	616.1	8,446.3	2,133.0	700.3	32.8%	8.3%
სხვა ხარჯები	209.1	3,252.3	717.5	212.8	29.7%	6.5%
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>355.2</b>	<b>4,258.9</b>	<b>892.7</b>	<b>311.1</b>	<b>34.8%</b>	<b>7.3%</b>
<b>ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>7.5</b>	<b>424.1</b>	<b>52.5</b>	<b>97.0</b>	<b>184.5%</b>	<b>22.9%</b>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>103.8</b>	<b>1,416.7</b>	<b>338.4</b>	<b>107.2</b>	<b>31.7%</b>	<b>7.6%</b>
საშინაო	2.7	42.9	12.9	0.1	0.4%	0.1%
საგარეო	101.1	1,373.8	325.5	107.1	32.9%	7.8%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)</b>	<b>-192.4</b>	<b>-381.0</b>	<b>-161.8</b>	<b>38.6</b>		

\* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 1 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულება %	წლიური გეგმის შესრულება %
<b>შემოსავლები</b>	<b>1,846.2</b>	<b>23,434.9</b>	<b>5,581.2</b>	<b>1,922.0</b>	<b>34.4%</b>	<b>8.2%</b>
გადასახადები	1,642.4	21,885.0	5,308.0	1,821.2	34.3%	8.3%
გრანტები	67.8	199.9	49.2	5.5	11.2%	2.8%
სხვა შემოსავლები	136.0	1,350.0	224.0	95.2	42.5%	7.1%
<b>ხარჯები</b>	<b>1,584.6</b>	<b>21,842.0</b>	<b>5,497.2</b>	<b>1,764.3</b>	<b>32.1%</b>	<b>8.1%</b>
შრომის ანაზღაურება	184.2	3,035.0	757.4	222.7	29.4%	7.3%
საქონელი და მომსახურება	146.8	2,485.3	649.9	152.2	23.4%	6.1%
პროცენტი	283.8	1,745.0	538.7	329.6	61.2%	18.9%
სუბსიდიები	58.4	1,021.6	298.7	55.8	18.7%	5.5%
გრანტები	86.2	1,856.5	402.0	90.9	22.6%	4.9%
სოციალური უზრუნველყოფა	616.1	8,446.3	2,133.0	700.3	32.8%	8.3%
სხვა ხარჯები	209.1	3,252.3	717.5	212.8	29.7%	6.5%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>261.6</b>	<b>1,592.9</b>	<b>84.1</b>	<b>157.7</b>	<b>187.6%</b>	<b>9.9%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>354.9</b>	<b>3,958.9</b>	<b>822.7</b>	<b>302.3</b>	<b>36.8%</b>	<b>7.6%</b>
ზრდა	355.2	4,258.9	892.7	311.1	34.8%	7.3%
კლება	0.3	300.0	70.0	8.7	12.5%	2.9%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>-93.3</b>	<b>-2,366.0</b>	<b>-738.6</b>	<b>-144.6</b>	<b>19.6%</b>	<b>6.1%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-322.3</b>	<b>-356.9</b>	<b>-192.2</b>	<b>8.3</b>	<b>-4.3%</b>	<b>-2.3%</b>
ზრდა	7.5	424.1	52.5	135.5	257.9%	32.0%
გალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0	38.6		
სესხები	7.5	421.7	50.1	9.8	19.6%	2.3%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%
<b>კლება</b>	<b>329.8</b>	<b>781.0</b>	<b>244.8</b>	<b>127.2</b>	<b>52.0%</b>	<b>16.3%</b>
გალუტა და დეპოზიტები	192.4	381.0	161.8	0.0	0.0%	0.0%
სესხები	137.3	400.0	83.0	127.2	153.2%	31.8%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
<b>გალდებულებების ცვლილება</b>	<b>-229.0</b>	<b>2,009.1</b>	<b>546.4</b>	<b>153.0</b>	<b>28.0%</b>	<b>7.6%</b>
ზრდა	-125.2	3,425.9	884.8	260.2	29.4%	7.6%
საშინაო	-162.8	1,600.0	639.2	223.2	34.9%	14.0%
საგარეო	37.6	1,825.9	245.6	36.9	15.0%	2.0%
<b>კლება</b>	<b>103.8</b>	<b>1,416.7</b>	<b>338.4</b>	<b>107.2</b>	<b>31.7%</b>	<b>7.6%</b>
საშინაო	2.7	42.9	12.9	0.1	0.4%	0.1%
საგარეო	101.1	1,373.8	325.5	107.1	32.9%	7.8%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
<b>00 00</b>	<b>სულ ჯამი</b>	<b>27,941.7</b>	<b>6,780.8</b>	<b>2,279.5</b>	<b>33.6%</b>	<b>8.2%</b>
<b>01 00</b>	<b>საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები</b>	<b>109.3</b>	<b>27.3</b>	<b>5.7</b>	<b>21.0%</b>	<b>5.3%</b>
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	91.5	22.8	4.7	20.6%	5.1%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა	38.4	9.5	1.9	20.1%	5.0%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების საქმიანობა	11.0	2.7	0.6	21.8%	5.4%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	42.2	10.6	2.2	20.8%	5.2%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	42.1	10.6	2.2	20.8%	5.2%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0	0.0%	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	15.6	3.9	0.9	23.5%	5.9%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.2	0.0	17.4%	5.3%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.4	0.4	0.1	23.6%	6.7%
<b>02 00</b>	<b>საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია</b>	<b>10.0</b>	<b>3.4</b>	<b>0.3</b>	<b>8.8%</b>	<b>3.0%</b>
<b>03 00</b>	<b>საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი</b>	<b>1.0</b>	<b>0.2</b>	<b>0.1</b>	<b>27.1%</b>	<b>6.8%</b>
<b>04 00</b>	<b>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</b>	<b>29.0</b>	<b>8.7</b>	<b>1.7</b>	<b>20.0%</b>	<b>6.0%</b>
<b>05 00</b>	<b>სახელმწიფო აუდიტის სამსახური</b>	<b>25.3</b>	<b>8.7</b>	<b>1.6</b>	<b>18.9%</b>	<b>6.5%</b>
<b>06 00</b>	<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>	<b>129.1</b>	<b>14.2</b>	<b>3.1</b>	<b>22.0%</b>	<b>2.4%</b>
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	33.3	8.5	2.0	23.0%	5.9%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.3	0.7	0.1	15.8%	4.8%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	3.4	1.0	29.3%	7.8%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	80.8	1.6	0.1	3.8%	0.1%
<b>07 00</b>	<b>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო</b>	<b>6.8</b>	<b>1.7</b>	<b>0.4</b>	<b>22.0%</b>	<b>5.6%</b>
<b>08 00</b>	<b>საქართველოს უზენაესი სასამართლო</b>	<b>20.8</b>	<b>5.0</b>	<b>1.2</b>	<b>23.7%</b>	<b>5.7%</b>
<b>09 00</b>	<b>საერთო სასამართლოები</b>	<b>164.5</b>	<b>35.8</b>	<b>8.9</b>	<b>25.0%</b>	<b>5.4%</b>
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	160.0	34.6	8.8	25.6%	5.5%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.5	1.2	0.1	8.4%	2.3%
<b>10 00</b>	<b>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო</b>	<b>12.6</b>	<b>3.5</b>	<b>0.5</b>	<b>12.8%</b>	<b>3.6%</b>
<b>11 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1.5</b>	<b>0.4</b>	<b>0.1</b>	<b>25.2%</b>	<b>6.5%</b>
<b>12 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.2</b>	<b>0.3</b>	<b>0.1</b>	<b>21.6%</b>	<b>5.8%</b>
<b>13 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1.5</b>	<b>0.4</b>	<b>0.1</b>	<b>22.5%</b>	<b>6.6%</b>
<b>14 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.3</b>	<b>0.3</b>	<b>0.1</b>	<b>25.5%</b>	<b>6.7%</b>
<b>15 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.2</b>	<b>0.3</b>	<b>0.1</b>	<b>23.3%</b>	<b>5.9%</b>

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.1	28.7%	7.5%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.1	29.1%	7.4%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	0.5	0.1	18.6%	6.2%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.3	0.1	23.7%	6.2%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	226.0	59.4	13.6	23.0%	6.0%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	174.0	44.8	11.4	25.5%	6.6%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	48.4	12.8	2.1	16.4%	4.3%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	3.6	1.8	0.1	7.3%	3.6%
21 00	საქართველოს პროკურატურა	70.8	20.0	4.4	22.2%	6.3%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4.7	1.6	0.2	15.3%	5.2%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	45.8	18.0	39.3%	14.9%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	32.5	8.3	1.4	16.8%	4.3%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადახდელთა მომსახურების გაუმჯობესება	25.0	20.9	12.6	60.4%	50.4%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	48.0	12.7	2.9	22.8%	6.0%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	10.1	2.5	0.8	31.2%	7.8%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.5	0.5	0.1	30.2%	9.3%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	3.9	1.0	0.2	20.0%	4.9%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947.0	234.5	27.8	11.9%	2.9%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	22.7	4.3	1.3	29.0%	5.5%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2.5	0.7	0.2	25.0%	6.8%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1.8	0.7	0.2	24.7%	9.6%
24 04	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	2.9	0.7	0.1	19.8%	4.9%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	48.7	13.1	3.0	22.7%	6.1%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	127.7	43.2	0.0	0.1%	0.0%
24 07	მეწარმეობის განვითარება	247.3	51.2	12.0	23.5%	4.9%
24 07 01	მეწარმეობის განვითარების ადმინისტრირება	5.3	1.3	0.3	21.3%	5.3%
24 07 02	მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა	242.0	49.9	11.8	23.6%	4.9%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	101.9	51.5	2.6	5.1%	2.6%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	1.2	0.4	0.1	33.8%	11.5%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	20.0	4.0	0.0	0.0%	0.0%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	12.0	5.4	0.0	0.0%	0.0%
24 12	სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარება	13.7	3.1	0.2	8.0%	1.8%
24 12 01	სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების ხელშეწყობა	9.5	2.2	0.2	11.2%	2.6%
24 12 02	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	4.2	0.9	0.0	0.0%	0.0%

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 3 თვის გეგმა	2025 წლის 1 თვის ფაქტი	3 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
